გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 70

2025 წლის 13 ივნისი
ქ. გორი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტისა და ”გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილების 54-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო,

ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 13 ივნისის სხდომის დღის წესრიგის პროექტი დანართი N1-ის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

1. „გორის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტი;

/მომხს.ასმათ ტალახაძე/

2. „გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი;

/მომხს.ლეილა მამულაშვილი/

3. „გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 იანვრის №1 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ დადგენილების პროექტი;

/მომხს.ლეილა მამულაშვილი/

4. „გორის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი;

/მომხს.ლეილა მამულაშვილი/

5. „ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირის დანიშვნის შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.ლეილა მამულაშვილი/

6. „გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვისათვის საწვავის ლიმიტების დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 11 ოქტომბრის №152 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.ლეილა მამულაშვილი/

7. ,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 13 იანვრის N4 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/

8. „გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 13 იანვრის N5 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/

9. „გეოგრაფიული ობიექტის სახელდების მიზანშეწონილობის შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.თამარ მურალოვა/

10. „გორში, ცხინვალის გზატკეცილის მე-3 კილომეტრზე მდებარე შპს ,,აგრო მოლის" მიმდებარედ ორ ლოკაციაზე ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.28 ,,დგომა აკრძალულია" განთავსების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.თამარ მურალოვა/

11. „ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის სააგენტოს 2024 წლის ივნისიდან მომდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.თამარ მურალოვა/

12.„გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის 2024 წლის ივნისიდან განვლილი პერიოდის ანგარიშის შეფასების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.გიორგი გოგშელიძე/

13. „ა(ა) იპ მიუსაფარ შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს 2024 წლის იანვრიდან მიმდინარე პერიოდის ჩათვლით საქმიანობის ფინანსური ანგარიშის შეფასების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.ასმათ ტალახაძე/

14. „გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის მე-3 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.ლეილა მამულაშვილი/

15. „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებისა და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფუნქციის საგამონაკლისო წესით გამოყენების შემთხვევაში მაკომპენსირებელი ღონისძიებების განსაზღვრის წესის შესახებ“ დადგენილების პროექტი;

/მომხს.თამარ მურალოვა/

16. „ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირის დანიშვნის შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.ლეილა მამულაშვილი/